

JEL Classification: D44, Q18

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004>

# METHODOLOGICAL FEATURES OF DETERMINING THE LEVEL OF COMPETITIVENESS IN THE AGRI-FOOD SECTOR OF GEORGIA

**ETER KHARAISHVILI**

Doctor of Economic Sciences, professor,  
Ivane Javakishvili Tbilisi State University,  
Academician of the Academy of Economic  
Sciences of Georgia, Georgia  
[eter.kharaishvili@tsu.ge](mailto:eter.kharaishvili@tsu.ge)

**Abstract.** The paper evaluates the importance of scientifically calculated indicators of competition and level of competitiveness for the effective functioning of food markets, especially for Georgia. The role of these indicators for producers and consumers is also substantiated.

The methodological issues of measuring the level of competition in food markets are evaluated in the paper. The opinions of various researchers on this issue are analyzed. It is concluded that in Georgia, where the share of small enterprises is large and the import rate is high, in order to estimate the market share of small firms along with the concentration index, it is advisable to calculate the Herfindahl-Hirschman indices, as well as the entropy index and to determine the dispersion of market shares.

To provide a comprehensive assessment of the level of competition and to provide complete information to stakeholders, it is advisable to use other features as well. It is argued that determining the level of competition requires, in addition to the indices, the analysis of various competitive factors. The article evaluates five key competitive factors based on wine market analysis: local market position; Local market growth potential; Economies of scale (cost / benefit analysis); Adapting to industry change; Potential for attracting foreign investors. The obtained results are compared with the data of the research conducted by foreign scientists according to the groups of traditional and new wine producers. Comparative analysis reveals methodological problems in determining the level of competition for the agro-food sector of Georgia.

In order to successfully enter the food markets, it is advisable to calculate the level of competitiveness of the product. The level of product competitiveness in the current period is assessed by the "ex-post" method using the following indices: Revealed Competitiveness Advantage (RCA); Relative Advantages of Exports (RXA); By Relative Import Penetration (RMP); By Relative Trade Advantage (RTA). It is concluded that for Georgia, as a small country, to determine the level of competitiveness of agri-food products from two indices (RCA and RXA indices) it is recommended to use only the RCA index.

The article identifies modern methodological approaches to determining the level of competition and competitiveness, draws conclusions based on their evaluation and offers recommendations for overcoming different problems.

**KEYWORDS:** COMPETITION, AGRI-FOOD SECTOR, COMPETITIVENESS, COMPETITIVE FACTORS, COMPETITIVENESS INDICES.

**For citation:** Kharaishvili, E., (2020). Methodological Features of Determining the Level of Competition and Competitiveness in the Agri-food Sector of Georgia. *Globalization and Business*, 10. 42-48. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004>

# კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიური თავისებურებები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში

## ეთერ ხარაიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

eter.kharaishvili@tsu.ge

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენცია, აგროსასურსათო სექტორი, კონკურენტუნარიანობის დონე, კონკურენტული ფაქტორები, კონკურენტუნარიანობის ინდექსები.

**ციტირებისთვის:** ხარაიშვილი ე. (2020). კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიური თავისებურებები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №10, გვ. 42-48. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.004>

COVID-19-ის გავრცელებამ ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის აგროსასურსათო სექტორზე. კორონავირუსის გამო ახალი გამოწვევები წარმოიშვა როგორც შიგა, ასევე, გლობალურ სასურსათო ბაზრებზე. Deutsche Welle-ს კვლევით კორონავირუსის დასაძლევად მსოფლიო მასშტაბით საჭირო იქნება 4.1 ტრილიონზე მეტი აშშ დოლარი, რომლის მობილიზება თავის მხრივ, მსოფლიოში ეკონომიკურ კრიზისს მნიშვნელოვნად გააღრმავებს (The EU Economy, (2020). ცხადია, კრიზისი შეეხება ზოგადად წარმოებას და კერძოდ სურსათის წარმოებასაც. გავრცელებული მსოფლიოს „ბიბლიური მასშტაბის“ შიმშილი ელის (UN: Because of Coronavirus, 2020). თუ დღეს მსოფლიოში ახლა 135 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ეს რაოდენობა შესაძლოა, 250 მილიონამდე გაიზარდოს (Donju, 2020). იმისათვის, რომ პანდემია არ გახდეს სურსათის კატასტროფული კრიზისის მიზეზი, აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების მთლიან ჯაჭვში ახლად ფორმირებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მოთხოვნა გაჩნდა ციფრულ არხებით აგროსასურსათო პროდუქტების გაყიდვებზე, ასევე, აქტუალური გახდა ქსელურ სავაჭრო ცენტრებთან ელექტრონული ვაჭრობის განვითარება, ახალ რეალობაში სასურსათო ბაზრებზე ინფორმაციული გადაწყვეტილებების უმეტესობა ისედაც გაურკვევლობის პირობებში მიიღებოდა, დღეს გაურკვევლობის ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა,

სასურსათო ბაზრებზე იცვლება კონკურენციის დონე, მწარმოებელთა ძალაუფლებაში უკვე გამოიკვეთა ცვლილებები და სხვ. ასეთ პირობებში განსაკუთრებით გადამწყვეტი ხდება სასურსათო ბაზრებზე საჭირო ინფორმაციებზე წვდომა, რომელთაგანაც განსაკუთრებით ღირებულია კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ მასხასიათებლები. ასეთი ინდიკატორების შესახებ ინფორმაციების მიღება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასურსათო ბაზრებზე მწარმოებელთა წარმატებით შესვლასა და პროდუქტის ადგილის დამკვიდრებაში. კიდევ უფრო აქტუალური გახდა, დასაბუთებული, მეთოდოლოგიური გათვლებით სასურსათო ბაზრებზე კონკურენციის დონის, კონკურენტული ძალებისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შესახებ ინფორმაციებზე წვდომა. შესაბამისად, კვლევის მიზანია აგროსასურსათო სექტორში კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების თვალსაზრისით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის ღონისძიებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კერძო მეთოდები: ანალიზის, სინთეზის, ინდექსაციის, შედარების და სხვ. კონკურენციის დონე დათვლილია კონცენტრაციის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსებით, ასევე, გამოყენებულია ენტროპიისა და საბაზრო წილების დისპერსიის ინდექსები. მიმდინარე პერიოდში კონკურენტუნარიანობა დადგენილია „ex-post“ მეთოდით, კერძოდ, გათვლილია

გამოვლენილი შედეგებითი უპირატესობის, ექსპორტის შედეგებითი უპირატესობის, იმპორტის შედეგებითი შემოღწევადადობის, ვაჭრობის შედეგებითი უპირატესობის ინდექსები და სხვ.

საქართველოში სასურსათო ბაზრებზე კონკურენციის დონე სასურსათო ბაზრის სახეობების მიხედვით, მით უმეტეს, დასაბუთებული მეთოდოლოგიით, შეფასებული არ არის. ასევე, არ ხდება აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა, მით უმეტეს კომპლექსური შეფასების საფუძველზე.

კონკურენციის დონის შეფასება და მის შესახებ ინფორმაციებზე წვდომა მნიშვნელოვანია მიმწოდებლებისათვის ბაზარზე შესვლისათვის, თუმცა, არანაკლებ საჭიროა პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა. კონკურენტუნარიანობის დონის გაზომვა მთელ რიგ გამოწვევებთან არის დაკავშირებული და მას მეცნიერები სხვადასხვა თვალთახედვით იკვლევენ.

კონკურენციის დონის გასაზომად მიზანშეწონილია ძირითადად ორი ინდექსის გამოყენება: 1. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი; 2. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი. კონცენტრაციის ინდექსით უპირატესად შესაძლებელია მსხვილი, ასევე, საშუალო ზომის კომპანიების საბაზრო წილის განსაზღვრა. ზოგადად ინდექსების გამოყენებაში მთავარი გამოწვევა არის ის, თუ რამდენად სრულყოფილად არის მასში ასახული საბაზრო სტრუქტურისა და სექტორის თავისებურებები, ასევე, გასათვალისწინებელია ბაზარზე იმპორტის წილი. კონცენტრაციის ინდექსი დასახელებულ თავისებურებებსა და მაჩვენებლებს არ ითვალისწინებს, ამიტომ კონცენტრაციის ინდექსთან ერთად საჭირო ხდება მეორე ძირითადი – ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენებაც, ზოგჯერ კი სხვა დამატებითი ინდექსებიც ჩართვაც არის აუცილებელი. საქართველოში მაღალია მცირემასშტაბიანი კომპანიების წილი, მაღალია სასურსათო ბაზრებზე იმპორტის წილიც. შესაბამისად, ინდექსების გამოყენებაც სასურსათო ბაზრის სახეობების მიხედვით განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს მოითხოვს. რომელსაც მიგვიანებით კონკრეტული გათვლების წარმოდგენისას განვიხილავთ. მთავარი გამოწვევაა ამ ინდექსების ოპტიმალური შერჩევა.

რაც შეეხება კონკურენტუნარიანობის გზომვის პრობლემებს – ბიბლიოგრაფიული კვლევით დადგინდა, რომ მეცნიერებს შეფასებული აქვთ ევროკავშირის 27 ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა (Measuring Competitiveness, 2008:25). ამასთან, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები რთულ ფენომენად არის მიჩნეული და მის დასადგენად ცვლადების ფართო სპექტრი გამოიყენება. კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად შერჩეული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე (წარმოების ფაქტორებს შორის ურთიერთობა, პროდუქტიულობა და სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში) და TOPSIS მეთოდის გამოყენებით შექმნილია სინთეზური

საზომი, კერძოდ, ქვეყნები დაყოფილია ოთხ ჯგუფად სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის დონის თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის მაღალ დონესა (ნიდერლანდები) და ყველაზე ნაკლებად კონკურენტუნარიან ქვეყანას (სლოვენია) შორის განსხვავება 3.5-ს შეადგენს. თუმცა, აღიარებენ, რომ საჭიროა მეთოდოლოგიური საკითხების სრულყოფა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა აგროსასურსათო სექტორში გართულებულია სხვადასხვა სტრატა-ჯგუფების არსებობით: ამ სექტორში მინიმუმ სამი სტრატა ჯგუფი განიხილება:

ა/ მწარმოებლები, რომლებიც მხოლოდ ნედლი პროდუქტების წარმოებით არიან დაკავებულნი;

ბ/ ნედლი და დამუშავებული პროდუქტების მწარმოებლები;

გ/ მხოლოდ დამუშავებული პროდუქტების მწარმოებლები.

განსხვავებულია მეცნიერთა მოსაზრება კონკურენტუნარიანობის გაზომვის ინდიკატორების შესახებ (Agricultural Competitiveness, 2008). კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის აუცილებლობა ბაზარზე წარმატებით შესვლისათვის შეფასებულია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ძირითადი ტენდენციების ფონზე (Papageorgiou, Petropoulos, 2010). ეკონომიკური მიდგომები კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვნად განსხვავებულია ფირმების, სექტორების და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით (Collins, 2004).

სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის გაზომვა ხშირად ხდება საშუალო ზომის მეურნეობების მონაცემებზე დაყრდნობით (Maslova, Zaruk, Fuchs, Avdeev, 2018). ამასთან, ავტორები კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების გაანგარიშებას მიკრო მონაცემების საფუძველზე ახდენენ. ამ მეთოდის გამოყენებით შედეგებით რეალურია პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის დადგენა. თუმცა, ასევე, მიკრო დონის ანალიზის დროს კონკურენტუნარიანობის გაზომვისა და მაჩვენებელთა შედეგების დროს მკვლევარები განვითარების ეფექტიანობის შეფასებას ხშირ შემთხვევაში ფირმის დონეზეც ახდენენ (Litvin, Coser, 2014). გლობალურ დონეზე სოფლის მეურნეობაში პოლიტიკის მიზნებისა და დოკუმენტების შემუშავებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კონკურენტუნარიანობის შეფასებას.

აშშ-სა და ევროპაში მკვლევარები ხაზს უსვამენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მარკეტინგის სისტემის სხვადასხვა ეტაპზე კონკურენტუნარიანობის გაზომვის მნიშვნელობას, კონკურენტუნარიანობა და მისი გაზომვის აუცილებლობა ასახულია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მხარდაჭერის მრავალ დებულებასა და ინსტრუქციაში (Research for Agri Committee, 2018).

სხვადასხვა დონეზე კონკურენტუნარიანობის ანალიზი,

ქვეყნებს შორის ვაჭრობის მაჩვენებლების საფუძველზე ხდება. მაგალითად, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის ვაჭრობის ტენდენციის შეფასებით გაკეთებული გარკვეული დასკვნები სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე (Nivievski, Cramon, 2009; Nowak, Kaminska, 2016).

პროდუქტის კონკურენტუნარიანობის მოდელებს რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით იკვლევენ ევროკავშირის ქვეყნებში, ანალიზი დაფუძნებულია საერთაშორისო ვაჭრობის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებზე. ანგარიშობენ როგორც პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონეს, ასევე, ადგენენ სხვადასხვა ფაქტორის გავლენას კონკურენტუნარიანობაზე (Analysis of the Size, 2015). კვლევის შედეგებს წარმატებით იყენებენ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებისა და კორექტირების მიზნით.

კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა (Erkomaishvili, 2016:13) კონკურენტუნარიანობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ფუნქციონირებადი ფირმების მიერ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას. ამასთან, კონკურენტული უპირატესობის მიღწევისათვის აუცილებელია მიზნობრივი ბაზრების კვლევა (Khaduri, 2010:4).

ცალკეულ შემთხვევაში კონკურენტუნარიანობა განიხილება როგორც მაკროეკონომიკური მოვლენა, რომელზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი (Gagnidze, 2012:13).

განსხვავებულია მოსაზრებები მცირე და დიდი ქვეყნების მიხედვით კონკურენტუნარიანობის ინდექსების სახეობების გამოყენების შესახებ (საექსპორტო ბაზრის წილის მაჩვენებელი (EMS), გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA), ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA), იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის ინდექსი (RMA), ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA), წმინდა ექსპორტის ინდექსი (NEI)). RCA და RXA ინდექსები ერთი და იგივეა, იმ განსხვავებით, რომ ექსპორტის მაჩვენებლების შეჯამების დროს თვითონ გამოსაკვლევი ქვეყნის ექსპორტი არ არის მხედველობაში მიღებული. ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსს ის ქვეყნები იყენებენ, რომელთა ექსპორტის წილი საერთაშორისო ბაზრებზე მაღალია. მაშასადამე, რეკომენდებულია, საქართველოში RCA ინდექსი გამოვიყენოთ.

მეცნიერები განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობენ აგროსასურსათო სექტორში ჰეტეროგენული და ჰომოგენური ნიშნების მიხედვით წარმოების სისტემების კონკურენტუნარიანობის გაზომვისა და შედარების დროს (Maslova, Zaruk, Fuchs, Avdeev, 2019). ასევე, მეცნიერები დავობენ იმის შესახებ, რომ კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის პროცესში საჭიროა გავითვალისწინოთ საწარმოთა მასშტაბები. შემოთავაზებებს შორის ჭარბობს მოსაზრება, რომ აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობა განვ-

საზღვრით საშუალო ტიპის მეურნეობების მონაცემებზე დაყრდნობით. ამასთან, ავტორები გვთავაზობენ ინდიკატორის გაანგარიშებისას დავეყრდნოთ ძირითადად მიკრო მონაცემების ანალიზს (Litvin, Coser, 2014).

საინტერესოა კვლევები, რომლებშიც კონკურენტუნარიანობის შეფასება და ანალიზი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ინსტრუმენტების შესამუშავებლად. ამ მიმართულებით მეცნიერები მრავალფაქტორიან და სიღრმისეულ კვლევებს მიმართავენ. ასეთი ძვირადღირებული კვლევები ჩატარებულია ავსტრალიაში, კანადაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და აშშ-ში (Papageorgiou, Petropoulos, 2010). კვლევებით, ასევე, ყურადღება გამახვილებულია ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაანალიზებით დადგენილ კონკურენტუნარიანობის დონეზე (Ninievsky, Cramon, 2009).

კონკურენტუნარიანობის გაზომვის მეთოდოლოგიის ერთიანი რეცეპტები არ არსებობს. საჭიროა ზოგად მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მისი სრულყოფა ქვეყნისა და ფირმის მასშტაბების, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

რა გამოწვევების წინაშეა საქართველოს აგროსასურსათო სექტორი კონკურენტუნარიანობის დონის მეთოდოლოგიური კვლევის თვალსაზრისით? საჭიროა თუ არა ცვლილებები COVID-19-ით გამოწვეული ფაქტორების გამო? დღეს რა ძირითადი ტენდენციებია გამოკვეთილი ამ თვალსაზრისით?

COVID-19-მა ფერმერებსა და აგრობიზნესში დასაქმებულებს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და განსაკუთრებით გაყიდვების მიმართულებით სიახლეებისაკენ უბიძგა. ფერმერთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ფერმერთა 17%-ის აზრით, ისინი თავისი პროდუქტის რეალიზაციას ახდენენ როგორც არსებული, ისე ახალი არხების საშუალებით, ისეთი, როგორებიცაა სოფლიდან.ჯი, ფეისბუქი, ახლომდებარე მაღაზიები, გლოვო და სხვ. (Impact of Covid, 2020). მათ შორის არიან ისეთი ფერმერებიც, რომლებსაც პროდუქტი ექსპორტზე ვეღარ გააქვთ და ასეთი გამოკითხულთა 17%-ია. კვლევაში ჩართული სოფლის მეურნეობის წარმომადგენლების 55% დასახელებულ გამოწვევებთან ერთად სხვა გამოწვევებსაც ასახელებენ, კერძოდ, მათთვის რთულია ბიზნესსაქმიანობის დაგეგმვა და ბაზარზე გასვლის სტრატეგიების შემუშავება იმის გამო, რომ არ აქვთ ინფორმაცია კონკურენტული ძალების შესახებ, გაყიდვების ციფრული არხებისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შესახებ და სხვ.

დღეს ფერმერებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, პირდაპირ მიაწოდონ მომხმარებლებს პროდუქცია. მით უმეტეს გართულებულია საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. მათ უპირველესად ჭირდებათ ინფორმაცია კონკურენტუნარიანობის დონისა და სასურსათო ბაზრებზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების შესახებ. საქართ-

ველოში 642 ათასი მეურნეობაა, რომლის 98%-ს მცირე საოჯახო მეურნეობა აქვს (Impact of Covid, 2020). თუ გავითვალისწინებთ, რომ წვრილმასშტაბურობა რა გავლენას ახდენს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებზე თუნდაც გათვლების ჩატარების დონეზე, ნათელია პრობლემის სირთულე ამ მიმართულებით.

კონცენტრაციისა და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსების გათვლამ მეღვინეობაში გვიჩვენა, რომ პირველი მათგანი შეადგენს 0,42-ს (მსხვილი კომპანიების მიხედვით), ხოლო მეორე მაჩვენებლის მიხედვით ღვინის ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ საშუალო ზომის კომპანიების მაგალითზე აღნიშნული ინდექსი ღვინის ბაზარზე საშუალოდ 0,4-ს შეადგენს (Methods of Market Analysis).

სასურსათო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების წარმატებით შეღწევისათვის მეცნიერები აანალიზებენ პორტერის კონკურენციის ხუთ ფაქტორსაც: მიმწოდებლების ძალაუფლება, მომხმარებლების ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქტის შემცველეები, კონკურენციის დონე. აღნიშნული ფაქტორები ჩვენს მიერ შესწავლილია ღვინისა და ნედლი ხილის ბაზრებისთვის. ცხადია, კონკურენციის დონის გაზომვა ინდექსებთან ერთად სხვა ფაქტორული ანალიზის ჩატარებასაც მოითხოვს. მეცნიერები ამ მხრივ, ძირითადად ხუთ კონკურენტულ ფაქტორს განიხილავენ: ა/ ადგილობრივი ბაზრის პოზიცია; ბ/ ადგილობრივი ბაზრის ზრდის პოტენციალი; გ/ მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი); დ/ ინდუსტრიის ცვლილებისადმი ადაპტაცია; ე/ უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი (Analysis of the Size, 2015).

პირველი, მეორე და მეთხე ფაქტორის მიხედვით საქართველოს სუსტი პოზიციები გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარების შემცირებით, ამ კატეგორიაში „სუსტის“ პოზიციას ინაწილებენ. საქართველოში 3.8 მლნ კაცი ცხოვრობს (geostat.ge), ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარება წელიწადში 16,5 ლიტრს შეადგენს (Sterly, Jongeneel, Pabst, Silvis, Connor, Freshwater, Shobayashi, Kinoshita, Van Kooten, Zorn, 2018). მაშასადამე, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარების მიხედვით ქვეყანა ადგილობრივი ბაზრის ზრდის პოტენციალის ფაქტორის მიხედვით „სუსტის“ კატეგორიაში უნდა განვიხილოთ. მესამე და მეხუთე ფაქტორის მიხედვით ქვეყანა საშუალო პოზიციას იკავებს.

ზოგადად, კონკურენტუნარიანობა კომპლექსური მაჩვენებელია და მის გასაანალიზებლად მიზანშეწონილია სხვადასხვა ინდექსის კომპლექსურად გამოყენება (Kharaiashvili, 2017:27). შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების პოზიციების მოსაპოვებლად საჭიროა ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრა.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონე მიმდინარე პერიოდში „ex-post“ მეთოდის გამოყენებით გამოვთვალე შემდეგი ინდექსებით (Sheldon, 2016):

- გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA)
- ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA)
- იმპორტის შედარებითი შემოდგენილობის ინდექსი (RMP)
- ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA)

ზემოთ დასახელებული ინდექსების გამოყენებით ჩვენს მიერ, სხვადასხვა კვლევის დროს, გაანგარიშებულია ზოგიერთი სახეობის აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა (Kharaiashvili, 2017:27). უმეტესი აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე დაბალია. მაგალითად, ჩვენს მიერ სხვადასხვა კვლევის დროს კონკურენტუნარიანობის დონე გაანგარიშებული იქნა შემდეგ პროდუქტებზე: ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, თხილი, რძე, ხორბალი, ვაშლის წვენი. პროდუქტების მიხედვით კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები მკვეთრად დიფერენცირებულია (Kharaiashvili, 2017:93; Kharaiashvili, 2011:23). დასახელებული პროდუქტებიდან კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა ღვინო და თხილი, დანარჩენი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე ზემოთ ჩამოთვლილი ინდექსების მიხედვით მკვეთრად დაბალია.

### დასკვნები და რეკომენდაციები:

- კონცენტრაციის ინდექსით უპირატესად შესაძლებელია მსხვილი, ასევე, საშუალო ზომის კომპანიების საბაზრო წილის განსაზღვრა. იმ შეთხვევებში, როცა ბაზარზე მცირე-მასშტაბიანი კომპანიების წილი მაღალია, მიზანშეწონილია ამ ინდექსთან ერთად კონცენტრაციის ინდექსის შებრუნებული სიდიდის – ენტროპიის ინდექსის გამოყენებაც. აღნიშნული მეთოდური მიდგომით სრულყოფილად შეფასდება საბაზრო ფასზე მიმწოდებელთა ზემოქმედება და დამატებით განისაზღვრება ბაზარზე ფუნქციონირებადი სხვა კომპანიების წილიც.

- მწარმოებლებს, განსაკუთრებით წარმოების მცირემასშტაბების პირობებში, სასურსათო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა აქვთ. სასურსათო ბაზრებზე წვდომის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მათთვის დასაბუთებული ინდიკატორების მიწოდება კონკურენციისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შესახებ. აღნიშნული აუცილებელი წინაპირობაა წარმოების გაფართოებისა და ბაზარზე წარმატებით გასვლისათვის.

- სასურსათო ბაზრებზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შესაღწევად და კონკურენტული გარემოს შესაფასებლად მიზანშეწონილია შეფასდეს ხუთი კონკურენტული

ფაქტორი: ადგილობრივი ბაზრის პოზიცია, ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი, მასშტაბის ეკონომია, ღვინის ინდუსტრიის ცვლილებისადმი ადაპტაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი.

- კონკურენტუნარიანობის დონის გაანგარიშების პროცესში შემდეგი პრობლემები გამოვლინდა: არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ინდექსების გასაანგარიშებლად საჭირო სრულყოფილი მონაცემთა ბაზები, მათი მოპოვება ძირითადად შესაძლებელია FAO-ს პორტალებიდან; ზოგჯერ შეუსაბამობებია FAO-სა და სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის ვებ-გვერდებზე განთავსებულ მაჩვენებლებს შორის; ქვეყანაში არ ხდება აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის შეფასება, ცალკეულ შემთხვევაში, თანაც მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე კონკურენტუნარიანობის დონის დათვლა საკმარისი არ არის ზოგადი კანონზომიერებების შესაფასებლად.

- კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

## ლიტერატურა/REFERENCES

- Methods of market analysis, <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138> (In Georgian).
- Gagnidze, I., (2012). Country Competitiveness and Clusters: History and Modernity, Tbilisi, 13. (In Georgian)
- UN: Because of Coronavirus The World is at risk of starvation on a "biblical scale". (In Georgian) [https://1tv.ge/news/gaero-shi-ackhadeben-rom-koronavirusis-gamo-msoflio-bibliuri-masshtabis-shimshilis-riskis-winashea/Donju, K., Don't a pandemic become a game of hunger. \(In Georgian\) https://bm.ge/ka/article/quotnu-davushvebt-rom-covid19-gaxdes-shimshilis-tamashiquot---fao-s-gia-werili/52932](https://1tv.ge/news/gaero-shi-ackhadeben-rom-koronavirusis-gamo-msoflio-bibliuri-masshtabis-shimshilis-riskis-winashea/Donju, K., Don't a pandemic become a game of hunger. (In Georgian) https://bm.ge/ka/article/quotnu-davushvebt-rom-covid19-gaxdes-shimshilis-tamashiquot---fao-s-gia-werili/52932)
- The EU economy is facing a historic recession. (In Georgian). Deutsche Welle: <https://feedc.com/post/54312>
- Erkomaishvili, G., (2016). *Priority Directions of Economic Development Policy of Georgia*, Tbilisi, 13. (In Georgian)
- Impact of Covid 19 on Farmers and Agriculture, Farmers Association Study, 2020, (In Georgian) <https://gfa.org.ge/covid-19>
- Population and Demography, National Statistics Office of Georgia, (In Georgian). <http://geostat.ge/>
- Khaduri, N., *Analysis of Competitiveness and Prospects of the Georgian Economy*, Tbilisi, 2010, 4, (In Georgian). Kharaisvili, E., Problems of Competition and Competitiveness in the Agro-Food Sector of Georgia, Tbilisi, 2011, 27, (In Georgian). Kharaisvili, E., Problems of Competition and Competitiveness in the Agro-Food Sector of Georgia, Tbilisi, 2011, 91-93, (In Georgian).
- Kharaisvili, E., *Wine Market and Competitive Models of Viticulture and Enology in Georgia*, Tbilisi, 2017, 23, (In Georgian).
- Agricultural competitiveness: The case of the European Union countries <https://doi.org/10.17221/133/2015-AGRICECON>; Nowak, A., Kaminska, A. (2016): Agricultural competitiveness: The case of the European Union countries. *Agric. Econ.* – Czech, 62: 507-516.
- Litvin, A., Coser, C., Competitiveness and Quality of Agrifood Products - Key Factors for the Success of Export Promotion, *Scientific Papers Series Management, Economic Engineering in Agriculture and Rural Development* 14, 3, 2014 PRINT ISSN 2284-7995, E-ISSN 2285-3952 [http://managementjournal.usamv.ro/pdf/vol\\_14/art23.pdf](http://managementjournal.usamv.ro/pdf/vol_14/art23.pdf)
- Analysis of the size and distribution of the impacts of agricultural trade at the firm and industry levels in developing countries, Food and Agriculture Organization of the United Nations Rome, 2015. <http://www.fao.org/3/a-i5130e.pdf>
- Collins, 2004; Richard M., Castaldi, Susan Cholette, Mahmood Hussain, 2006.
- Maslova V. , Zaruk N., Fuchs C., Avdeev M., (2019). *Competitiveness of Agricultural Products in the Eurasian Economic Union*. <file:///C:/Users/Admin/Downloads/agriculture-09-00061.pdf>
- Measuring competitiveness in the EU market: a comparison between food industry and agriculture. Carraresi, L., and Banterle. A., 2008.
- Nivievskiy, O., & Cramon-Taubadel, S., *Measuring and comparing the competitiveness of heterogeneous production systems in agriculture*, 2009. [https://www.researchgate.net/publication/233562299\\_Measuring\\_and\\_comparing\\_the\\_competitiveness\\_of\\_heterogeneous\\_production\\_systems\\_in\\_agriculture](https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture)
- Petropoulos, D., Kyriazopoulos, G., & Papageorgiou, A., *The Competitiveness of Agricultural Products* (trade relations between Greece - Bulgaria), 2012 [https://www.researchgate.net/publication/297577164\\_THE\\_COMPETITIVENESS\\_OF\\_AGRICULTURAL\\_PRODUCTS\\_trade\\_relations\\_between\\_Greece\\_-\\_Bulgaria](https://www.researchgate.net/publication/297577164_THE_COMPETITIVENESS_OF_AGRICULTURAL_PRODUCTS_trade_relations_between_Greece_-_Bulgaria) [accessed Mar 09 2020].
- Papageorgiou, A., & Petropoulos, D. (2010). *The competitiveness of agricultural products in domestic and international market* [https://www.researchgate.net/publication/233562299\\_Measuring\\_and\\_comparing\\_the\\_competitiveness\\_of\\_heterogeneous\\_production\\_systems\\_in\\_agriculture](https://www.researchgate.net/publication/233562299_Measuring_and_comparing_the_competitiveness_of_heterogeneous_production_systems_in_agriculture)

- Research for AGRI Committee - A comparative analysis of global agricultural policies: *lessons for the future CAP*, 2018. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL\\_STU%282018%29629183\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL_STU%282018%29629183_EN.pdf)
- Sterly, S., Jongeneel, R., Pabst, H., Silvis, H., with contributions from Connor, J., (Australia), Freshwater, D., (US), Shohobayashi, M., (Japan), Kinoshita, Y., (Japan), Van Kooten, C., (Canada), and Zorn, A., (Switzerland). *Research for AGRI Committee - A comparative analysis of global agricultural policies: lessons for the future CAP*, 2018. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL\\_STU%282018%29629183\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/629183/IPOL_STU%282018%29629183_EN.pdf)
- Sheldon, I. M. (2016). The competitiveness of agricultural product and input markets: A review and synthesis of recent research. *Journal of Agricultural & Applied Economics*, 49(1):1-44 [https://www.researchgate.net/publication/311972543\\_The\\_competitiveness\\_of\\_agricultural\\_product\\_and\\_input\\_markets\\_A\\_review\\_and\\_synthesis\\_of\\_recent\\_research](https://www.researchgate.net/publication/311972543_The_competitiveness_of_agricultural_product_and_input_markets_A_review_and_synthesis_of_recent_research)
- Wine Institute, World Statistics*, <http://www.wineinstitute.org/resources/statistics>
- Weindlmaier, H. (1999): The competitiveness of the German food industry: methodological starting points for measurement and empirical results. Presentation. *Fortieth annual meeting of the Society for Economic and Social Sciences in Agriculture 4*.